



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 30.06.2023 წ. N36 დადგენილებით

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

შესავალი

ინტერნაციონალიზაცია სასწავლო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, უნივერსიტეტის სტრატეგია მოიცავს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას, რომელსაც ამტკიცებენ მართვის ორგანოები. საერთაშორისო პროგრამების/პროექტების კოორდინატორი, განვითარების განყოფილების უფროსი (საერთაშორისო პროგრამების კოორდინატორი) და “ჰორიზონტი ევროპა”- საუნივერსიტეტო საგრანტო ოფისი წარმართავენ ინტერნაციონალიზაციის პროცესს, საერთაშორისო თანამშრომლობას და **ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნების მისაღწევად** თანამშრომლობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან სასწავლო უნივერსიტეტის მისიისა და ხედვის, სტრატეგიული განვითარების მიზნების, “უმაღლესი განათლების შესახებ” და “პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, შესაბამისი სამსახურების დებულებების, მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით.

პროცესი არის ინკლუზიური, მასში ჩართულია მრავალი აქტორი უნივერსიტეტის შიგნით თუ გარეთ და მისი შედეგები გამოიყენება სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა სფეროში (სწავლა-სწავლება, კვლევა, რეგიონის განვითარებაში წვლილის შეტანა) და წარმოადგენს განათლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ საშუალებას.

მუხლი 1. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზანი

სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მთავარი მიზანია, უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის თანმიმდევრული და ეფექტიანი პოლიტიკის წარმოება, რაც ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების გლობალურ რუკაზე პოზიციის გაძლიერებას. ინტერნაციონალიზაციის პროცესი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს და ხორციელდება ეფექტური დაგეგმარების, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების, კომუნიკაციისა და კოორდინირების გზით.

უმაღლესი განათლება სხვადასხვა მიზნის მიღწევას ემსახურება. მათ შორისაა სტუდენტების მომზადება აქტიური მოქალაქეობისა და მათი მომავალი კარიერისათვის. სტუდენტების პიროვნული განვითარების მხარდაჭერა; ცოდნის ფართო, მოწინავე ბაზის შექმნა და კვლევისა და ინოვაციის სტიმულირება.



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პოლიტიკის განსაზღვრისას გათვალისწინებულია სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის თითოეული მიზანი და ჩამოყალიბებულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შემდეგი მიზნები:

1. სასწავლო უნივერსიტეტის ცნობადობისა და რეპუტაციის ამაღლება ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა;
2. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია;
3. ფაკულტეტის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინტერნაციონალიზაცია;
4. სტუდენტების ინტერნაციონალიზაცია;
5. კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია;
6. პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია;

მუხლი 2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნების მისაღწევად საჭირო მექანიზმები და ამოცანები

1. სასწავლო უნივერსიტეტის ცნობადობისა და რეპუტაციის ამაღლება ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა:

1. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმება სხვადასხვა ევროპულ თუ ამერიკულ პარტნიორებთან;

2. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობა საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებში, ვორქშოფებში, ტრენინგებსა და “ჰორიზონტი ევროპის” საბროკერო ღონისძიებებში;

3. Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების პროექტებში მონაწილეობა როგორც ბენეფიციარის, ისე კოორდინატორის როლში;

4. კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის “ჰორიზონტი ევროპა” ფარგლებში წარდგენილ საპროექტო განაცხადებში მონაწილეობა;

5. ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის ჩართულობის გაზრდა საერთაშორისო მობილობებში;

6. მოწვეული ევროპელი თუ ამერიკელი მეცნიერების მიერ საჯარო ლექციების ჩატარება საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის;

7. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მიერ საჯარო ლექციების ჩატარება სხვადასხვა ევროპულ თუ ამერიკულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

8. ახალი სასწავლო სივრცეების მოწყობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

9. ვებ გვერდსა და სოციალურ ქსელში ინფორმაციის განახლება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
10. საერთაშორისო პროექტების ფარგლებში შექმნილი ცენტრების, სერვისებისა თუ კურსების უწყვეტად შეთავაზება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ;
11. ღია თანამშრომლობა განათლების სფეროს განვითარებაში მომუშავე ყველა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციასთან;
12. უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების შესახებ ინფორმაციის განთავსება სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმასა და პორტალზე, როგორცაა EU Funding and Tenders Portal და სხვადასხვა სამეცნიერო ქსელების პლატფორმები.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია

1. საგანმანათლებლო პროგრამების გაძლიერება ინგლისურენოვანი სასწავლო კურსებით;
2. ინგლისური ენის პრაქტიკული სასწავლო კურსების შეთავაზება სტუდენტებისთვის თავისუფალი არჩევითი საგნების სახით;
3. საგანმანათლებლო პროგრამების გამდიდრება ინგლისურენოვანი უახლესი ლიტერატურით;
4. სასწავლო კურსებისა და კურიკულუმების მოდიფიცირება საერთაშორისო პროექტების ფარგლებში;
5. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ამერიკელი მასწავლებლების ჩართულობა.
6. უცხო ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ შეთავაზებული შესაძლებლობები სტუდენტთათვის და აკადემიური პერსონალისთვის ენობრივი კომპეტენციების გასაძლიერებლად;
7. აკადემიური პერსონალის, განსაკუთრებით ინგლისური ენის პრაქტიკული სასწავლო კურსების ხელმძღვანელების გადამზადება როგორც ინსტიტუციის შიგნით, ისე მის გარეთ არსებული შესაძლებლობების გამოყენებით.
8. Erasmus+ ის საერთაშორისო პროექტების ფარგლებში კურიკულუმების განვითარება, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მოდიფიცირება ციფრული ტრანსფორმაციის, ინკლუზიურობისა და მდგრადობის ჭრილში უნარების განვითარებით (Skills gap);
9. საგანმანათლებლო პროგრამებში ინტერკულტურული სასწავლო კურსების გაძლიერება.

მუხლი 4. ფაკულტეტის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინტერნაციონალიზაცია

1. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში უცხოეთში მიღებული განათლების მქონე პერსონალის რაოდენობის ზრდა;
2. აკადემიური პერსონალის ჩართულობის გაზრდა NISPAcee (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო მმართველობის ინსტიტუტებისა და სკოლების ქსელი) ქსელში, რომლის



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ფარგლებში სასწავლო უნივერსიტეტის “საჯარო მმართველობის” საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურ პერსონალს ეძლევა საშუალება მონაწილეობა მიიღონ მათ მიერ დაგეგმილ კონფერენციებში, სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში;

3. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტის დაფინანსების/ თანადაფინანსების ზრდა;
4. უცხოელ პროფესორებთან ერთად ერთობლივი ლექციების დაგეგმვა და განხორციელება;
5. საერთაშორისო პროექტების ფარგლებში ჩატარებული კონფერენციების თანაორგანიზატორობა;
6. საერთაშორისო პროექტების ფარგლებში ჩატარებული კონფერენციების სარედაქციო კოლეგიის წევრობა;
7. საერთაშორისო პროექტებში გადამზადებული პერსონალის მიერ დაინტერესებულ პირთათვის პროფესიული განვითარების LLL კურსების შეთავაზება;
8. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა სასწავლო ვიზიტებში ერასმუს+ საერთაშორისო პროექტების ფარგლებში;
9. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონის გაძლიერება;
10. აკადემიური პერსონალის ჩართულობის წახალისება ონლაინ, პირისპირ თუ ჰიბრიდულ საერთაშორისო კონფერენციებში;

მუხლი 5. სტუდენტების ინტერნაციონალიზაცია

1. სტუდენტთა ინფორმირება ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი აქტივობების შესახებ, როგორცაა მობილობები, საზაფხულო სკოლები, ტრენინგები, ვორკშოპები, დისტანციური სასწავლო კურსები, საჯარო ლექციები, კონფერენციები, საგრანტო ინოვაციური პროექტები;
2. გაცვლით პროგრამებში მონაწილე წარმატებული კურსდამთავრებულების სასწავლო უნივერსიტეტში სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობა;
3. გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების აქტიური ჩართულობა ინფორმაციის დისემინაციის მიზნით;
4. სტუდენტურ საგრანტო ინოვაციურ პროექტებში ჩართულობის შესაძლებლობების ზრდა როგორც ევროკავშირის დაფინანსებით, ისე უნივერსიტეტის დაფინანსებით.
5. უნივერსიტეტის ვებ გვერდსა და სოციალურ ქსელში ინფორმაციის დისემინაცია სტუდენტთათვის საერთაშორისო სტიპენდიების და სხვადასხვა საინტერესო ღონისძიების შესახებ;
6. დიჯიტალური პარტნიორობა(Digital partnership) მსოფლიო განათლების ცენტრთან WES.ORG (World Education Services);
7. სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა NISPAcee (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო მმართველობის ინსტიტუტებისა და სკოლების ქსელი) ქსელში, რომლის ფარგლებში სტუდენტებს



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ეძლევა საშუალება მონაწილეობა მიიღონ მათ მიერ დაგეგმილ კონფერენციებსა თუ სხვადასხვა აქტივობაში;

8. სტუდენტთა ჩართულობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დაგეგმილ ახალგაზრდულ გაცვლით პროექტში;

9. სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დაგეგმილ სხვადასხვა ტრენინგსა თუ სემინარში, რომელიც ემსახურება ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას დემოკრატიულ პროცესებში და მათი უნარების განვითარებას;

10. სტუდენტთა ჩართულობა ახალგაზრდა მეცნიერთა ინტერდისციპლინურ სიმპოზიუმებში;

11. **მრავალფეროვანი** გაცვლითი სასწავლო პროგრამების შეთავაზება სტუდენტთათვის.

12. საზაფხულო/ ზამთრის და შემოდგომის სკოლების ორგანიზება და ჩატარება როგორც ქართველი, ისე საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობით;

მუხლი 6. კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია;

1. აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისთვის მრავალფეროვანი დამხმარე მექანიზმების შემუშავება;
2. მკვლევართა ჩართულობის გაზრდა ონლაინ, პირისპირ თუ ჰიბრიდულ საერთაშორისო კონფერენციებში;
3. კვლევითი საქმიანობისთვის ფინანსური უზრუნველყოფის გაზრდა;
4. აკადემიური პერსონალის კვლევითი უნარების გაუმჯობესება საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართვის გზით;
5. რექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური/მიზნობრივი სამუშაო ჯგუფის მხარდამჭერი აქტივობების უფრო მეტად გააქტიურება;
6. მკვლევართა სამეცნიერო პროდუქტიულობის გაუმჯობესების მუდმივი პროცესის უზრუნველყოფა საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში ჩართვით;
7. სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებულების თარგმნა ინგლისურ ენაზე და ელექტრონული იდენტიფიკატორების მინიჭება;
8. სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებულების, მონოგრაფიებისა და საკონფერენციო მასალების ელექტრონული ვერსიების განთავსება უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომების პორტალებზე www.journals.zssu.ge და www.monographs.zssu.ge
9. სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებულებში შემავალი სტატიების განთავსება სხვადასხვა პლატფორმაზე, მათ შორის researchgate, org; academia.edu; scholar.google.com; zenodo.org; sciprofile.com; publons.com; orcid.org



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

10. ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ღია მეცნიერების (Open Science) პრინციპების (FAIR principles) დანერგვის მიზნით;
11. სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის პერიოდული განახლება NISPAcee (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო მმართველობის ინსტიტუტებისა და სკოლების ქსელი) ქსელის წევრობის შედეგად მიღებული სამეცნიერო შრომების კრებულებით.
12. აფილირებული პერსონალის სტატიების განთავსების მაჩვენებლის ზრდა მაღალ იმპაქტ-ფაქტორიან საერთაშორისო ჟურნალებში;
13. საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევის შედეგების ინტეგრირება საგანმანათლებლო პროცესში;
14. ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის გასაზრდელად;
15. სასწავლო უნივერსიტეტის ინიციატივით შექმნილი აკადემიური ჟურნალის “სამართლის აქტუალური საკითხები” გამოცემის გაგრძელება, რომელიც რეგიონებში იურიდიული განათლების, მეცნიერების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისებას და მხარდაჭერას უწყობს წელს.
16. სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობა/კოორდინირება, მათ შორის შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილი პროექტების რაოდენობის ზრდა;
17. ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის “ჰორიზონტი ევროპა” ფარგლებში, ქართველ მეცნიერთათვის არსებული შესაძლებლობების გამოყენება;
18. წამყვან ევროპულ მკვლევართა ჩართულობით ერთობლივი სამეცნიერო კრებულების გამოცემა;
19. კვლევითი პროექტების განხორციელებისთვის კვლევითი უნარების ამაღლება;
20. მკვლევართა მიერ რეცენზირების (peer-review) პროცესში ჩართვის ხელშეწყობა;
21. კვლევების კომერციალიზაციის ხელშეწყობა;
22. კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის (ლაბორატორიები) მოწყობა;
23. მკვლევართა ჩართულობის გაზრდა “ჰორიზონტი ევროპის” ფარგლებში არსებულ მარია სკლადოვსკა კიურის მიმართულებებისა და გაფართოების სვეტის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებში;
24. მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღისა და მეცნიერების საერთაშორისო დღის ყოველწლიური აღნიშვნა და კვლევის პოპულარიზაციის ხელშემწყობი აქტივობების ჩატარება, მათ შორის საჯარო ლექციები, ვებინარები, ვორქშოფები და პრაქტიკული აქტივობები.
25. აკადემიური პერსონალის ჩართულობა “ჰორიზონტი ევროპის” ეროვნული ოფისის მიერ დაგეგმილ საინფორმაციო შეხვედრებში.
26. აკადემიური პერსონალის ჩართულობა ღია მეცნიერების მხარდაჭერ ღონისძიებებში;
27. კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა;



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მუხლი 7. პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია;

სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა და გათვალისწინებულია:

1. პროფესიული განათლების მიმღებ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის ზრდა;
2. სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მიმღებ სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა საერთაშორისო პროექტებში;
3. პროფესიული განათლების მიმღებ სტუდენტთა და პერსონალის გადამზადება უცხოელი ტრენერების მიერ;
4. გაცვლით პროგრამებში ჩართვა;
5. პარტნიორ დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაძლიერება;
6. ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების საერთაშორისო პროექტების მოზიდვა;

